# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N – 03-05/18

ხულო

20/11 / 2019 წელი

ერთი მხრივ სოფელ განახლების სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი დირექტორის ლიანა ბოლქვაძის სახით და მეორე მხრივ შპს „ალტა რითეილი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), მისი წარმოდგენილის გიორგი ქურული სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია კომპიუტერული მარაგები და მომსახურება - მიწოდება (CPV-30237000,)

## 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1709.99 (ათასშვიდას ცხრა და ოთხმოცდაცხრამეტი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა სავარაუდო ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

## 3. საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი

3.1. საქონლის მიწოდება მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 31.12-მდე

3.2. საქონლის მიწოდების ადგილია ხულო, სოფელი განახლება.

## 4. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში, ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის შესაბამისად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ან/და შესაბამისი ანგარიშსწორების დოკუმენტის წარმოდგენიდან 10 დღის ვადაში.

## 5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

შემსყიდველსუფლებააქვსხელშეკრულებისშესრულებისნებისმიერეტაპზეგანახორციელოსხელშეკრულებისშესრულებისკო ნტროლი.

## 6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოყოველვადაგადაცილებულდღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.07 პროცენტისოდენობით.

## 7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 8. სხვა პირობები

8.1. არცერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისიუფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

8.2. ხელშეკრულებადადებულიასაქართველოსკანონმდებლობისშესაბამისადდაინტერპრეტირებულიიქნებასაქართველოსკა ნონმდებლობისმიხედვით.

8.5. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად მხარეთათვის.

## 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020. 01 იანვრამდე .

## 10. მხარეთა რეკვიზიტები

**შემსყიდველი:**

სოფელ განახლების სკოლა

მის: ხულო. სოფ. განახლება

ს/კ – 248053699

ს.ს. „საქართველოს ბანკი“

მფო BAGAGE22

ა/ა GE07BG0000000265899800

დირექტორი : ლ. ბოლქვაძე

**მიმწოდებელი:**

შპს „ალტა რითეილი“

მის:ქ. თბილისის, ჩაჩავას ქუჩა N2-4-6-8-10-12

ს/კ 402033312

ს.ს. „საქართველოს ბანკი“

მფო: BAGAGE22

ა/ა GE24BG0000000648700100

დირექტორი: გ. ქურული